6218

F76 N370

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

ხუთშაბათი, 10 ივლისი, 1941 წ. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ყოველკვირეული ორგანო № 28 (187) ფასი 30 კაპ.

წინ, ჩვენი გამარჯვებისათვის!

დიდის გმირობითა და თავდადებით იბრძვის საბჭოთა ხალხი პირსისხლიან ფაშისტ თავდამსხმელების წინააღმდეგ. მთელი თავისი დიადი პატრიოტული შეგნებით და სულისკვეთებით არის დაკავშირებული მრავალმილიონიანი საბჭოთა ხალხი უძველეს წიაელ არშიასთან, რომელიც უშიშრად და გოლიათური ვაჟკაცობით ებრძვის გერმანიის ფაშისტ ყაჩაღებს. წითელი არმიის სახით მტერი შეხვდა ისეთ ძალას, რომლის მსგავსიც მას არასოდეს არ შეხვედრია და არც უნახავს.

გათავხედებულ ფაშისტ არამზადების წინააღმდეგ აღსდგა მთელი საბჭოთა ხალხი და მისი არმია—წითელი არმია, ახალი ტიპის არმია, რომელიც შეიარაღებულია საუკეთესო, მოწინაგე საბრძოლო ტექნიკით, რომელიც ორგანიულად არის დაკავშირებული მთელ ქვეყანასთან და რომელსაც განუსაზღვრელად უყვარს სოციალისტური სამშობლო. „ომის გამო, რომელიც ჩვენ თავს მოგვახვიეს, ჩვენი ქვეყანა ჩაება სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკებაში თავის უბოროტეს და ცბიერ მტერთან — გერმანიის ფაშიზმთან. ჩვენი ჯარები გმირულად ებრძვიან მტერს, რომელიც თავით ფეხამდე შეიარაღებულია ტანკებითა და ავიაციით. წითელი არმია და წითელი ფლოტი, სძლევენ რა მრავალ სიძნელეს, თავგანწირვით იბრძვიან თვითოეული მტკაველი საბჭოთა მიწისათვის. ბრძოლაში ებმებიან წითელი არმიის მთავარი ძალები, რომელნიც ათასობით ტანკებითა და თვითმფრინავებით არიან შეიარაღებულნი. წითელი არმიის მეომართა მამაცობა უმაგალითოა. მტრისადმი ჩვენი წინააღმდეგობა მტკიცდება და ძლიერდება. წითელ არმიასთან ერთად სამშობლოს დასაცავად გამოდის მთელი საბჭოთა ხალხი“ **(სტალინი).**

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის, დიდი **სტალინის** მიერ 3 ივლისს რადიოთი წარმოთქმული სიტყვა წარმოადგენს მთელი საბჭოთა ხალხის საბრძოლო-სამოქმედო პროგრამას. ამ სიტყვამ აღფრთოვანება ჩვენი ხალხი, განამტკიცა მასაში ბრძოლის სულისკვეთება და ენერგია, უფრო მეტად შეამჭიდროვა იგი იმისათვის, რომ საკადრისი პასუხი გასცეს ვერაგ მტერს; თავის სიტყვაში ამხანაგმა **სტალინმა** გამოსთქვა მთელი საბჭოთა ხალხის მტკიცე რწმენა ფაშისტ ყაჩაღებზე უეჭველი გამარჯვების შესახებ. ამხანაგმა **სტალინმა** ჩვენს ხალხს გარკვევით დაუსახა გზები, რომლებითაც საჭიროა სვლა, მუშაობა და ბრძოლა, რათა მალე იქნას განადგურებული ვერაგი მტერი.

დღეს ფრონტი და ზურგი ერთ მტკიცე სხეულს წარმოადგენენ. თვითოეული ჩვენი წარმოება, თვითოეული ჩვენი დაწესებულება ეხლა ერთი მთლიანი საბრძოლო უბანია, რომელიც მოწოდებულია აქტიურად, მის განკარგულებაში მყოფი საშუალებით ხელი შეუწყოს ჩვენი ხალხის გამარჯვებას ვერაგ მტერზე. ყოველი პროფესიის მუშაკმა სათანადო წესით უნდა შეიტანოს ჩვენი დიდი სამშობლოს სამხედრო ძლიერების განმტკიცების საქმეში.

სამამულო-განმათავისუფლებელ ომში მეტად დიდი როლი ეკისრება „სულის ინჟინერებს“ — საბჭოთა მწერლებს. საბრძოლო მოწოდებით, საბრძოლო ლექსით უნდა გამოვიდეს დღეს მწერალი გაზეთების ფურცლებზე, წარმოებებში, კოლმეურნეობებში, წითელი არმიის ნაწილებში. საჭიროების შემთხვევაში მან სამწერლო კალამი უნდა შესცვალოს საბრძოლო იარაღით. დღეს უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, გვესაჭიროება მაიაკოვსკის ტიპის მწერალი, რომელიც თავისი ქალმით უდიდეს საქმეს აკეთებდა რევოლუციის საკეთილდღეოდ.

საბჭოთა მწერალმა არა მარტო თავის თავში უნდა განავითაროს, არამედ ყველა საბჭოთა მოქალაქეს უნდა გაუვითაროს თავგანწირული პატრიოტისა და უშიშარი მებრძოლის მაღალი მორალური თვისებები — გაუტეხელი სულიერი სიმტკიცე, მოუდრეკელი შრომისა და ბრძოლის უნარი. საბჭოთა მწერალმა უნდა აკეთოს ის, რაც ხელს უწყობს ჩვენი სახელოვანი წითელი არმიის ძლევამოსილებას, საბჭოთა ხალხის გამარჯვებას მუხანათ მტერზე.

საბჭოთა მწერლის კალამს დღეს სხვა დანიშნულება არ უნდა ჰქონდეს, გარდა ერთი დანიშნულებისა — სოციალისტური სამშობლოსათვის თავდადების ცეცხლით აღანთოს ყოველი საბჭოთა მოქალაქე.

ყოველთვის და ყველგან უნდა გვახსოვდეს ხალხთა დიდი ბელადის, შშობლიური **სტალინის** საბრძოლო სიტყვები:

„მთელი ჩვენი ძალები ჩვენი გმირი წითელი არმიის, ჩვენი სახელოვანი წითელი ფლოტის დასახმარებლად!

ხალხის მთელი ძალები მტრის გასანადგურებლად!

წინ, ჩვენი გამარჯვებისათვის!“

მწერლების მუშაობა წითელი არმიის გაზეთში

ომის პერიოდში მწერლების შემოქმედების ხასიათი და თემა უმთავრესად სამხედრო-თავდაცვითი საკითხებით განისაზღვრება. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მწერლების მონაწილეობას პრესაში, სახკნმრეწვში, თეატრებში, კლუბებში და წითელი არმიის ნაწილებში, რომ შექმნან ბრძოლის პათოსით აღსავსე ლექსები, სცენარები, მცირე ფორმის პიესები, და მიიღონ აქტიური მონაწილეობა წითელი არმიის მხატვრული მომსახურების საქმეში.

მწერალთა კავშირმა გაითვალისწინა მწერლების მუშაობის ეს ახალი ფორმები, მიამაგრა პოეტები გაზეთ „კომუნისტს“, „ზარია ვოსტოკას“, „ახალგაზრდა კომუნისტს“, სახკინმრეწვს, წითელი არმიის სახლს, გამოჰყო პოეტების სპეციალური ბრიგადა და მიამაგრა იგი წითელარმიული გაზეთის „ბოევ-კაჯა“-ს რედაქციას სისტემატური თანამშრომლობისათვის.

პოეტების ბრიგადაში შედიან: ი. აბაშიძე, ა. მაშაშვილი, ი. გრიშაშვილი, სიმონ ჩიქოვანი, ილო მოსაშვილი, კარლო კალაძე, გრ. აბაშიძე, სანდრო ეული, სოლ. თავაძე, სიკო ფაშალიშვილი, იონა ვაკელი, იაკ. ლისაშვილი და გრ. ცეცხლაძე. ეს პოეტები უმთავრესად იმუშავებენ ფელეტონების დაწერაზე, საბრძოლო ლექსების შექმნაზე და წარწერებზე პლაკატებისათვის.

მამულისათვის

სიმონ ჩიქოვანი

მე შვილი ვიყავ პატარა ხალხის,
ხალხის, რომელიც იწოდა ოდით.
სურდათ მოესპოთ სამშობლოს ბალი
და ჭარიშხალი დაჭრილა შფოთით.
გვაცლიდენ პირთან მიტანილ ლუკმას,
მხარე გულადი დაჭრილი იწვა,
მაგრამ ბელადის გენიის შუქმა
სული შთაბერა მოგვკალულ მიწას
და შვილი გავხდით უძლეველ ხალხთა.
თექვსმეტი კერით გამთბარა ბარი,
ჩვენი მამულის გაშლილი კალთა
ყველა ჩაგრულის მფარველი არი.

ვერაგმა მტერმა მახვილი იძრო,
უნდა საბჭოეთს მოჰფინოს ბნელი.
მოსპოს სინათლე და დაგვამიწოს,
ტუსაღის დარად შეგვიკრას ხელი.
ვერა, ვერ იგდებს საყვარელ მიწას,
გაუღენთილს ჩვენი მშრომელის ოფლით,
ის ვერ შებღალავს, სამშობლოს ვფიცავთ,
მამულს აღდგენილს ხალხების ძმობით!

აქ ვერ გადმოდგას ჰიტლერმა ჩექმა,
კაცთა ღირსების მთელავი მარად,
ვინც საპყრობილე ხალხისთვის შეჰქმნა
და ცეცხლი სთესა მშრომელის კარად.
ვერვინ წაგვართვას დიდება ჩვენი,
მოპოებული სისხლით და ხორცით!
რისხვა და ტყვია, სიკვდილის ფენი,
ვინც იმ საზიზღრის ნაკვალევს კოცნის!

ადექით, ძმებო, სამშობლოს ვიცავთ,
ჩვენ გზას გვინათებს მამული ჩვენი!
არვის დაუთმოთ მტკაველი მიწაც,
რასაც ქარტიით ათბობდა ბრძენი.
ძმებს ამოუდგეთ შვილები ჭართლის,
დავიცვათ სითბო მშობლიურ კერის.
სტალინისათვის, მამულისათვის,
ვიბრძოლოთ, მოვსპოთ ვერაგი მტერი!

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

(9 ივლისის დილის ცნობა)

8 ივლისს, ღამის განმავლობაში, დიდი ბრძოლა იყო **პოლოცკის, ლეპელისა და ნოვოგრად-ვოლინსკის** მიმართულებით.

ოსტროვის მიმართულებით ჩვენი ჯარები დაკავებულ პოზიციებზე მაგრდებოდნენ და ღამით გაძლიერებულ ზვერვას აწარმოებდნენ.

8 ივლისის დამლევისათვის გაჩაღდა ბრძოლა **სებეჟის** მიმართულებით, სადაც მოწინააღმდეგის სატანკო და ქვეითი ჯარის ნაწილები ცდილობდნენ აღმოსავლეთისაკენ გაჭრილიყვნენ. ბრძოლა გრძელდება.

პოლოცკის მიმართულებით გრძელდებოდა მედგარი და დაძაბული ბრძოლა **ბორკოვიჩისა** და **ულის** რაიონებში. ამ ბრძოლის მსვლელობისას ჩვენი ჯარები ხანმოკლე კონტრდარტყმებით მოწინააღმდეგეს დიდ ზარალს აყენებდნენ.

ლეპელის მიმართულებით ჩვენი ჯარები ეკვეთნენ მოწინააღმდეგეს, გაანადგურეს მისი 2 მოტორიზებული პოლკი, მოსპეს 4 მძიმე და მსუბუქი ბატარია და ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხების მნიშვნელოვანი რაოდენობა. მოწინააღმდეგემ ბრძოლის ველზე ასობით გვამი დასტოვა და დასავლეთისაკენ დაიხია.

ნოვოგრად-ვოლინსკის მიმართულებით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ გაწუწყვეტელ, მედგარ ბრძოლას მოწინააღმდეგის სატანკო და მოტორიზებულ ნაწილებთან და ხელს უშლიდნენ მათ წინსვლას აღმოსავლეთისაკენ.

დანარჩენ მიმართულებებსა და ფრონტის უბნებზე ღამის განმავლობაში დიდი ბრძოლა არა ყოფილა.

ჩვენი ავიაცია თავს ესხმოდა მოწინააღმდეგის მოტომექანიზებულ ნაწილებს **ოსტროვის, ლეპელისა** და **ნოვოგრად-ვოლინსკის** მიმართულებით და მოწინააღმდეგის ავიაციას მის აეროდრომებზე.

ბრძოლის შემდეგ კაპიტანმა წურწუმიამ ჩამოაგდო 11 ფაშისტური თვითმფრინავი. მისმა ყველა თვითმფრინავი თავის აეროდრომზე მიიყვანა ისე, რომ არცერთი მათგანი ოდნავაც არ დაზიანებულა.

* * *

№ მსროლელთა პოლკის წითელარმიელები პაიანინი და კრესტიანინოვი მტერთან ბრძოლის დროს თავის ქვედანაყოფს მოსწყდნენ და მტრის ზურგის სიღრმეში აღმოჩნდნენ. მალე კრესტიანინოვი დასჭრეს. პაიანინმა დაჭრილი ამხანაგი ზურგზე მოიკიდა და ფრთხილად წამოვიდა უკან. გზაში პაიანინს თავს დაესხნენ ფაშისტები. პაიანინმა მათ ბრძოლა გაუმართა და ხუთი გერმანელი მოჰკლა. სამი კილომეტრი გამოატარა ზურგით თავდადებულმა მეომარმა თავისი ამხანაგი, ვიდრე თავისიანებს არ შეუერთდა.

* * *

№ მსროლელთა პოლკის ბატალიონმა დაბა კ-ს მახლობლად რუმინეთის ჯარის ნაწილებთან ბრძოლის დროს, ტყვედ ჩაიგდო 16 რუმინელი ოფიცერი და 589 ჯარისკაცი. ხელთ იგდო 11 ქვემეხი, 6 ნაღმმტყორცნი, 12 დაზგიანი და 24 ხელის ტყვიამფრქვევი, 396 შაშხანა, ჰურვები, გრანატები, მოწინააღმდეგის 102 თვითმფრინავი მოსპო, თვითონ კი 10 თვითმფრინავი დაჰკარგა.

* * *

ტყიდან მტრის ტანკები გამოჩნდნენ. № ნაწილის ბატარიას ებრძანა მოეგერებინა ტანკების იერიში. ბატარიამ ტანკები ახლო მანძილზე მოუშვა და გრიგალისებური სროლა აუტეხა. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ქვემეხის მეშიზნე ივრიგორომა. მან მოსპო 11 ტანკი, მათ შორის 3 მძიმე ტანკი, ფაშისტებმა ამ დღეს № ბატარიის უბანზე 64 ტანკიდან სულ 27 ტანკი დაჰკარგეს. მტრის დაზიანებული ტანკების ბევრი ეკიპაჟი დაგვნებდა წინააღმდეგობის გაუწევლად.

* * *

საჭირო იყო უეცარი დარტყმით ხელთ გვეგდო დაბა ფ-სთან არსებული ხიდი და შემოსასვლელი გზა გადაგვეჭრა მოწინააღმდეგისათვის. ამ დავალების შესრულება დაეკისრათ უფროსი ლეიტენანტების — ნესტეროვის, ბერეგნოისა და ერემენკოს ქვედანაყოფებს. ღამით მებრძოლნი ფარულად მიადგნენ ხიდს და ლერწმნარში ჩაწვნენ. აქ ისინი თითქმის მთელი დღე-ღამე იწვნენ. მეორე დღეს, დაღამებისას, დაიწყო ხიდზე იერიშის მიტანა. გერმანელ-რუმინელმა ჯარისკაცებმა, რომელნიც არაფერს არ მოელოდნენ, თავდაცვაც ვერ მოახერხეს და იარაღი დაჰყარეს და მოჰკურცხლეს. ხიდი აფეთქებულ იქნა.

* * *

ჩუდის ტბიდან 120 კილომეტრზე 8 ივლისს, დილის 4 საათზე, გერმანიის 3 ყუმბარმშენმა „იუ-88“ ყუმბარების მთელი ტვირთი ტბაში გადაჰყარა და საბჭოთა აეროდრომზე დაეშვა. გამანადგურებელი ბატალიონის მებრძოლთა მიერ შეპყრობილმა მფრინავებმა საბჭოთა ჯარების მხარეზე თავიანთი გადმოფრენა იმით ახსნეს, რომ არა სურთ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ომი. ეკიპაჟის ერთერთმა წევრმა, რადისტმა მსროლელმა კ-მ განაცხადა, რომ ყუმბარმშენთა რგოლის ეკიპაჟებს გერმანიის არმიიდან გამოქცევის აზრი ომის პირველსავე დღეს დაებადათ, მაგრამ გადმოფრენის შემთხვევაში მხოლოდ 8 ივლისს მიეცათ. შტურმანმა შ-მა მოიყვანა მთელი რიგი ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, რომ გერმანიის ჯარების საფრენოსნო შემადგენლობაში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომი მეტისმეტად არაპოპულარულია. უკანასკნელ დღეებში, როცა გერმანელები წააწყდნენ განსაკუთრებულ შეუპოვრობას არა მარტო რეგულარული საბჭოთა ჯარების მხრივ, არამედ სამოქალაქო მოსახლეობის მხრივაც კიდევ უფრო გაძლიერდა განწყობილება სსრკ-კავშირთან ომის წინააღმდეგ.

* * *

ბორისოვის მიმართულებით № სატანკო ნაწილმა გაანადგურა გერმანელთა 2 ბატარია და ტყვედ ჩაიგდო არტილერისტების ჯგუფი. იმ დოკუმენტებიდან, რომლებიც მათ აღმოაჩნდათ, გამოირკვა, რომ ბატარიები დასავლეთი ფრონტიდან არიან გადმოყვანილნი. არტილერიის გერმანელმა ოფიცერმა, ტყვე ვ. ლიუდვიგმა განაცხადა: „უკანასკნელი 8 თვის განმავლობაში ჩემი საარტილერიო ნაწილი შერბურგში იდგა. რუსეთთან ომის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ჩვენ ეშელონში ჩაგვსვეს და, როგორც შემდეგ გამოირკვა, საბჭოთა საზღვრისაკენ გამოგვგზავნეს“. ტყვეების დაკითხვიდან საინტერესო დეტალი გამოირკვა. სანამ ეშელონის გამზადება მიმდინარეობდა, ბატარიების ადგილზე ხის ბუტაფორულ ქვემეხებს სდგამდნენ. „ფრონტზე, — ამბობს ვ. ლიუდვიგი,—ჩვენ მოვედით 23 ივნისს, ორშაბათს, როცა საომარი მოქმედება უკვე დაწყებული იყო. აქ მე შევხვდი რამდენიმე ჩემს ძველ ამხანაგს არტილერისტს, რომელნიც მანამდე რამდენიმე დღის წინათ ჯერ კიდევ დიუნკერკში იყვნენ,—კაპიტან ჰენრიხ ც-ს და ლეიტენანტ ოტო ფ-ს. რუსებთან ჩემი ბრძოლა ხანგრძლივი არა ყოფილა“.

* * *

ფაშისტი მტაცებელნი უძლურნი არიან საბჭოთა პარტიზანების მოუხელებელი ჯგუფების წინააღმდეგ გერმანელ გუშაგებს ნაბრძანები აქვთ სროლა აუტეხონ ყველას, ვინც ტელეგრაფის ბოძებს მიუახლოვდება. ამ დღეებში სოფელ პ-სთან ფაშისტები გამოედევნენ შეიარაღებულ პარტიზანების ჯგუფს, რომელნიც ცდილობდნენ დაეწყვიტათ მავთულები, პარტიზანებმა ჯარისკაცები ტყისაკენ დაიაცავი ობიექტისაგან შორს გაიყოლეს და მიიმალნენ. დაბრუნებისას გერმანელებმა ნახეს, რომ ხაზი მაინც დანგრეულია. მავთულები პარტიზანების მეორე ჯგუფმა მოსპო.

* * *

გმირული შრომით სჭედენ მუხანათ მტერზე გამარჯვებას საბჭოთა კავშირის მუშები, კოლმეურნეები და ინტელიგენცია. ნოვოშახტის რაიონში კონვეიერების გადამტანი მედვედევი, მყელავი მემანქანე ვორონინი და მბურღავი რიაგუზოვი ნორმებს ყოველდღე 250—300 და უფრო მეტი პროცენტით ასრულებენ. ყირიმის ასსრ რესპუბლიკაში, სერგო ორჯონიკიძის სახელობის ქარხანაში ხარატმა ეფიმოვმა, მიიღო რა მნიშვნელოვანი დაკვეთა, რომელიც დიდ ოსტატობასა და პიზიტს მოითხოვდა, საღამოსათვის დაევალება 200 პროცენტით შეასრულა. ვოლგა-კასპიის სახეთევზრესტის სარემონტო - მექანიკური სახელოსნოების ძველმა ხარატმა, წითელი არმიის სამი მებრძოლის მამამ, 2 ცილინდრი და ერთი დგუში, ნორმით გათვალისწინებული 27 საათის ნაცვლად, 9 საათში დაამუშავა. ზაპოროჟიეს ოლქში ქიროვის სახელობის ქარხნის ოსტატი იაცენკო დღიურ დავალებას 1.000 პროცენტით ასრულებს. მოსკოვის ოლქის სტალინის სახელობის ქარხნის წამყვანი საამქროების ყველა მუშა გამომუშავების ნორმის 130-დან 300 პროცენტამდე იძლევა.

საბჭოთა უკრაინის მშრომელები ფხიზლად და გულმოდგინედ ადევნებენ თვალყურს მტრის ხრიკებს და ეხმარებიან წითელ არმიას ჯაშუშებისა და დივერსიანტების შეპყრობაში. კოლმეურნეობა „შუში პოლუ“ მახლობლად თვითმფრინავიდან 5 ფაშისტი ჯარისკაცი და ოფიცერი დაეშვა. კოლმეურნენი, რომელნიც თვალყურს ადევნებდნენ თვითმფრინავს, გარს შემოერტყნენ დივერსანტებს, შეიპყრეს ისინი და შტაბში მიიყვანეს. ქალაქ ნ-ში ტელეფონისტ ქალს ბორისოვას საერთო სარგებლობის სატელეფონო ჯიხურიდან ვიღაც კაცმა დაურეკა. იგი სთხოვდა ეცნობებინა, თუ სად მდებარეობდა კავშირგაბმულობის ზოგიერთი საწარმო. ბორისოვამ ამ უცნობს წინადადება მისცა დაეცადა, ვიდრე მისთვის საჭირო მისამართებს შეაგროვებდა, თვითონ კი ამ დროს მილიციას აცნობა თავისი ეჭვი. რამდენიმე წუთის შემდეგ „კლიენტი“ დაპატიმრეს იქვე, ტელეფონის ჯიხურში. იგი ფაშისტი დივერსანტი აღმოჩნდა, რომელიც წინა დღით პარაშუტით ჩამოშვებულიყო.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

(9 ივლისის საღამოს ცნობა)

9 ივლისის განმავლობაში გრძელდებოდა ჩვენი ჯარების გაფთრებული ბრძოლები მტრის დიდი სატანკო და მოტორიზებული ნაწილების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობდნენ გაჭრილიყვნენ **ოსტროვის, პოლოცკის** და **ნოვოგრად-ვოლინსკის** მიმართულებით.

ოსტროვის მიმართულებით ჩვენი ჯარები მედგარ ბრძოლებს აწარმოებენ და მტრის ჭარბი ძალების შემოტევას აჩერებენ.

პოლოცკის მიმართულებით მტერმა დილიდან განაახლა შემოტევა. ჩვენი ჯარები მტერს გამანადგურებელი საარტილერიო და ატყვიამფრქვევო ცეცხლითა და გადამწყვეტი კონტრიერიშებით შეხვდნენ. ბრძოლა გრძელდება. მტერს დიდ ზარალს ვაყენებთ.

ლეპელის მიმართულებით ჩვენს ჯარს წარმატებითი კონტრიერიშები მიაქვს მტერზე.

ნოვოგრად-ვოლინსკის მიმართულებით მთელი დღის განმავლობაში ჩვენი ჯარები გააფთრებით ებრძოდნენ მტრის დიდ მოტომექანიზებულ ნაწილებს.

ფრონტის დანარჩენ მიმართულებებსა და უბნებზე ჩვენი ჯარები აწარმოებენ ბრძოლებს და ინარჩუნებენ დაკავებულ პოზიციებს.

ჩვენი ავიაცია მტრის მოტომექანიზებული ნაწილების წინააღმდეგ მოქმედებდა და სპობდა მის ავიაციას აეროდრომებზე.

* * *

ჩვენმა ავიაციამ ყუმბარები დაუშინა კონსტანცას, ნავსადგურსა და ტრანსპორტებს ტულჩასა და სულინაში, ნავთის სარეწებს ტულჩასა და სულინაში, ნავთის სარეწებს პლოეშტში.

კონსტანცაზე თავდასხმის დროს ჩვენს 9 ყუმბარმშენს მტრის 14 თვითმფრინავი შეხვდა. გაჩაღდა საჰაერო ბრძოლა, რომლის დროსაც ჩვენმა თვითმფრინავებმა მტრის 7 თვითმფრინავი ჩამოაგდეს, თვითონ კი მხოლოდ ერთი თვითმფრინავი დაჰკარგეს.

* * *

უფროს ლეიტენანტ იუნაცკის სატანკო შენაერთი პირისპირ შეხვდა მტრის დიდ ძალებს. გამართული ბრძოლის დროს საბჭოთა ტანკისტებმა მწყობრიდან გამოიყვანეს ფაშისტთა თხუთმეტი ტანკი. ცხარე ბრძოლის დროს იუნაცკის ტანკის ქვემეხი მწყობრიდან გამოვიდა. უშიშარი ტანკისტი მტერს ეკვეთა და თელვა დაუწყო მას თავისი მძლავრი ტანკით. რამდენიმე ძლიერი დარტყმისაგან ფაშისტთა ერთი ტანკი გადაბრუნდა, რამდენიმე სხვა მანქანა დაიმტვრა. ორიოდე დღის შემდეგ იუნაცკიმ კიდევ უფრო გაბედული მანევრი მოახდინა. მას მოახსენეს, რომ მტრის არტილერია ხელს უშლის ჩვენი ქვეითი ჯარის გაშლას; იუნაცკიმ იერიში მიიტანა მტერზე და ღრმად შეიჭრა მის ზურგში. იუნაცკის ქვედანაყოფის ტანკებმა მტრის საკვანძო პოზიციებს მიაღწიეს და ფაშისტთა ქვემეხების განადგურება იწყეს. მამაცმა საბჭოთა ტანკისტებმა 20 ტანკსაწინააღმდეგო ზარბაზანი და ერთი 152-მილიმეტრიანი ქვემეხი მოსპეს.

* * *

შავი ზღვის ფლოტის ყუმბარმშენთა ესკადრილიამ კაპიტან წურწუმიას მეთაურობით აღმოაჩინა მტრის გემები იერიში მიიტანა მათზე. პირველი ყუმბარები მტრის ორ გემს მოხვდა. გემები ჩაიძირა. შემდეგ უფროსმა სერჟანტმა სემიონოვმა აღმოაჩინა მესამე გემი. ესკადრილიის გამოცდილმა შტურმანმა გორბატოვმა მასში მონიტორი გამოიცნო და ზუსტი გაანგარიშებით ჩასძირა იგი პირველივე კვეთებით. ბრძოლის შემდეგ კაპიტანმა წურწუმიამ ყველა თვითმფრინავი თავის აეროდრომზე მიიყვანა ისე, რომ არცერთი მათგანი ოდნავაც არ დაზიანებულა.

* * *

საბჭოთა კავშირის ხალხები ამხანაგ სტალინის მოწოდების პასუხად მთელს ძალებს რაზმავენ იმისათვის, რომ დაამარცხონ და სავსებით გაანადგურონ მტერი, რომელიც მუხანათურად დაესხა თავს ჩვენს სამშობლოს. ვოიკოვის სახელობის ქარხნის მუშები ამჟამად კვირაში იმდენ კონსტრუქციას უშვებენ, რამდენსაც ომამდე მთელი თვის განმავლობაში იძლეოდნენ. ამ ქარხნის მოშნიშნავებმა სამ დღეში შეასრულეს დავალება, რომლის შესრულებასაც წინათ 10 დღე სჭირდებოდა. მაკეევკაში შახტის „პროლეტარსკაია-კრუტაიას“ მნგრეველმა ამხ. სუშინმა 6 ივლისს, თავის გამოსასვლელ დღეს, 7 ნორმა მოგვცა. მოსკოვის ქარხანა „კრასნი პროლეტარის“ მბურღავი ქალი ამხ. გალოშინა ნორმას ყოველდღიურად 250—275 პროცენტით ასრულებს. ლენინგრადის ეგოროვის სახელობის ქარხნის კონსტრუქტორებმა და ტექნოლოგებმა—ამხ. ზაბუნტუევმა, გრიგორიევმა, ხოხლოვმა, პეტროვმა და სხვებმა დავალება მიიღეს დაეპროექტებინათ ახალი აგრეგატი. შაშხანის ვაზნები და სხვა სამხედრო ჭრობა.

* * *

მტრის ზურგის ღრმა დაზვერვის დროს ჩვენს მზვერავებს — უმცროს ლეიტენანტ სახაროვს და წითელარმიელებს — პოგოდინსა და კურიცინს ძლიერი აფეთქების ხმა მოესმათ. მალე შორს წითელი დაფიონი გამოჩნდა. ისინი შეუმჩნეველად მიიპარნენ აფეთქების ადგილთან, სადაც დანგრეული თვითმფრინავების ჯგუფის მახლობლად საბჭოთა პარტიზანების დიდი რაზმი ნახეს. როგორც პარტიზანული რაზმის მეთაურ ამხ. ს-სთან საუბრიდან გამოირკვა, მინდორზე მოწყობილი იყო მტრის ერთერთი საიდუმლო აეროდრომი. ოსტატურად შენიღბული მინდორი ფაშისტთა ავიაგამანადგურებლების ბაზას წარმოადგენდა. აფეთქებამდე სამი დღით ადრე ეს აეროდრომი პარტიზანული რაზმის მზვერავებმა აღმოაჩინეს. საბჭოთა პატრიოტები ორი დღე-ღამის განმავლობაში ემზადებოდნენ აეროდრომზე თავდასასხმელად. პარტიზანების გამოჩენა ისე მოულოდნელი იყო, რომ აეროდრომზე მყოფ გერმანელთაგან მხოლოდ რამდენიმე ჯარისკაცი გადარჩა. თავდასხმის შედეგად მოსპობილ იქნა 25 თვითმფრინავი, საწვავის მარაგი და სამაორი მასალის საწყობები.

* * *

საბჭოთა კავშირის ხალხები ამხანაგ სტალინის მოწოდების პასუხად მთელს ძალებს რაზმავენ იმისათვის, რომ დაამარცხონ და სავსებით გაანადგურონ მტერი, რომელიც მუხანათურად დაესხა თავს ჩვენს სამშობლოს. ვოიკოვის სახელობის ქარხნის მუშები ამჟამად კვირაში იმდენ კონსტრუქციას უშვებენ, რამდენსაც ომამდე მთელი თვის განმავლობაში იძლეოდნენ. ამ ქარხნის მოშნიშნავებმა სამ დღეში შეასრულეს დავალება, რომლის შესრულებასაც წინათ 10 დღე სჭირდებოდა. მაკეევკაში შახტის „პროლეტარსკაია-კრუტაიას“ მნგრეველმა ამხ. სუშინმა 6 ივლისს, თავის გამოსასვლელ დღეს, 7 ნორმა მოგვცა. მოსკოვის ქარხანა „კრასნი პროლეტარის“ მბურღავი ქალი ამხ. გალოშინა ნორმას ყოველდღიურად 250—275 პროცენტით ასრულებს. ლენინგრადის ეგოროვის სახელობის ქარხნის კონსტრუქტორებმა და ტექნოლოგებმა—ამხ. ზაბუნტუევმა, გრიგორიევმა, ხოხლოვმა, პეტროვმა და სხვებმა დავალება მიიღეს დაეპროექტებინათ ახალი აგრეგატი. ორი დღის შემდეგ მათ მზა პროექტი ჩააბარეს, ხოლო 7 ივლისს აგრეგატის საცდელი ნიმუშიც დაამთავრეს. დნეპროპეტროვსკის ოლქის კოლმეურნეები მარცვლის, ფურაჟის, ბოსტნის, რძისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წითელ აღალებს აწყობენ. დნეპროპეტროვსკის საგარეუბნო რაიონში ბევრი კოლმეურნეობა უკვე აბარებს სახელმწიფოს პროდუქტებს 1942 წლის ჩაბარების ანგარიშში. ჩუვაშეთის რესპუბლიკაში 100-ზე მეტმა კოლმეურნეობამ სავსებით შეასრულა ყველა ვალდებულება სახელმწიფოს წინაშე.

ერთერთი ფრონტისპირა გზის მემანქანე ამხ. სულიმა სასწრაფო რეისით გაემგზავრა. გზაში მატარებელს თავს დაესხა ფაშისტთა თვითმფრინავი. მემანქანემ სისწრაფეს უმატა და მატარებელი ტყეში შეიყვანა. თვითმფრინავი ჩამორჩა, მაგრამ, როგორც კი მატარებელი ტყიდან გამოვიდა, ფაშისტთა თვითმფრინავმა კვლავ აუტეხა მას სროლა. ამხ. სულიმა სვლას განაგრძობდა. სადგურის მახლობლად ჰაერში საბჭოთა ორი ავიაგამანადგურებელი აფრინდა. რამდენიმე წუთის შემდეგ ფაშისტთა მანქანა მიწას დაეანარცხა.

* * *

მსოფლიო პრესა სასაცილოდ იღებს გერმანიის პროპაგანდის ნაბოდვარ ჭორებს „ბოლშევიკების მხეცობის“ შესახებ. ასე, მაგალითად, ამერიკული გაზეთი „დეილი ნიუსი“ თავის მკითხველებს ურჩევს „ნუ ენდობიან“ გერმანელთა პროპაგანდისტულ ფოტოგრაფიებს. ბევრი გაზეთი აშკარად სწერს, რომ გერმანული ფოტოგრაფიები, რომლებიც ლვოვსა და კაუნასში კი არ მზადდება, არამედ ბერლინის ფაშისტური პროპაგანდის მთავარ შტაბში, უხეშ ნაყალბევს წარმოადგენენ და აშკარად ამხილებენ ჰიტლერელ „ფოტოგრაფებს“. ფოტოგრაფიის „მოყვარულმა“ ნაცისტებმა ჯერ კიდევ თებერვალსა და მარტში უდიდესი რაოდენობით დაამზადეს ტყვე წითელარმიელთა „ფოტოგრაფიები“. უცხოეთის გაზეთებისათვის ფოტოგრაფიების დაგზავნის დროს გერმანიის პროპაგანდის სამინისტროს ექსპედიციამ გასაგზავნად შეიფუთა ფოტოგრაფიები, რომლებზედაც გამოხატული არიან ტყვე წითელარმიელები... ზამთრის ტანისამოსში გამოწყობილნი. ფაშისტური

(დასასრული იხ. მე-2 გვ.)

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

(დ ა ს ა ს რ უ ლ ი)

ფოტოგრაფიებისადმი უნდობლობა განსაკუთრებით გაძლიერდა მას შემდეგ, რაც ჰიტლერელთა აგენტურამ დაგზავნა ფოტოსურათი გერმანიის „ძლევამოსილი“ ჯარებისა, რომლებმაც ხელთ იგდეს საბჭოთა სამხედრო ბიარაღი, რაც ნამდვილად ნორჩ პიონერთა ბიარაღს წარმოადგენს. ბიარაღზე გამოხატულია პიონერთა ემბლემა და პიონერული ლოზუნგი „მზად იყავ“. სჩანს, კარგი დღე არ ადგია ჰებელსის აგენტურას, თუ იგი ასეთ უბადრუკ ნაყალბევს მიმართავს.

* * *

ბერლინის რადიო კვლავ იმეორებს საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს მიერ უკვე გამომჟღავნებულ სიცრუეს იმის შესახებ, რომ საბჭოთა მფრინავები ვითომდა „დუმ-დუმის“ ტყვიებს იყენებენ. ეს მორიგი საზიზღარი ჭორი უკვე გამომჟღავნებული ჭორისაგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ ბერლინში ჩამოსხმული ახალი „ტყვიები“ სიცრუეში ჩაფლულ ფაშისტთა ნება-სურვილით მოხვდა არა სარკინიგზო შემადგენლობას, არამედ გერმანელ ჯარისკაცებს. უკვე გაბათილებული პროვოკაციული ჭორის განმეორება გერმანელთა მიერ იმას მოწმობს, რომ ჰიტლერელები დაჟინებით ცდილობენ დაბალონ თავიანთი ზრახვები და დაჰფარონ საკუთარი მხეცობის კვალი. როგორც სჩანს გაბოროტებულ ფაშისტთა მორიგი ბინძური ხრიკისწამება ნავარაუდევია იმისათვის, რომ შეასუსტონ ის შთაბეჭდილება, რაც გერმანელ ხალხზე მოახდინა თავისი გმირული მოქმედებით საბჭოთა ავიაციამ, რომელიც წარმატებით ჰფუშავს ჰიტლერული სარდლობის ავანტურისტულ გეგმებს.

ბელადის სიტყვა ჩვენი სამოქმედო პროგრამაა

მიტინგი მწერალთა კავშირში

არაჩვეულებრივი ენტუზიაზმით და საბრძოლო აღფრთოვანებით შეხვდა ჩვენი სამშობლოს ორასმილიონიანი ხალხი სამ იქლისს რადიოთი წარმოთქმულ დიდი ბელადის ისტორიულ სიტყვას.

ამ სიტყვამ უძლიერესი პატრიოტული გზნებით აღანთო მთელი საბჭოთა ხალხი, მისი მოწინავე რაზმი—საბჭოთა მწერლობა.

4 იქლისს, დღის პირველ საათზე, მწერალთა კლუბის დარბაზი გაიჭედა მწერლებით და ლიტერატურული ორგანიზაციების მუშა-მოსამსახურეებით.

სანდრო ეულმა, რომელმაც მიტინგი გახსნა, მოუწოდა დამსწრეთ მთელი მოქალაქეობრივი შეგნებით და პასუხისმგებლობით ჩასწვდნენ დიდი ბელადის მოწოდების ყოველ სიტყვას და გაიხადონ იგი ყოველდღიურ სახელმძღვანელოდ ბრძოლისა და შრომის დროს.

მთელი აუდიტორია დაძაბული ყურადღებით უსმენდა **ირაკლი აბაშიძის** მიერ წაკითხულ დიდი ბელადის მოართვას. ბელადის მოწოდებას—წინ, ჩვენი გამარჯვებისათვის, დამსწრენი ხვდებიან დიდხანს შეუწყვეტელი მქუხარე ტაშით.

კაცობრიობის ისტორიამ, — სთქვა **ლეო ქიაჩელმა,** — იცის არა ერთი და ორი არამზადა, რომელიც სიამხლში აღრჩობდა თავისუფლებას, სინდისს და პატიოსნებას, მაგრამ ისტორია მათ სასტიკად გასწორებია, ისტორიას არ დაუზოგავს პროგრესის არც ერთი მტერი. ფაშიზმი არის ყველაზე საზიზღარი და ამორალური იმ უმზაგვსოებათა შორის, რაც კაცობრიობას ახსოვს. როგორც კაცობრიობის წინანდელ მტარვალებზე, პირსისხლიან ფაშიზმზედაც ისტორიას გამოტანილი აქვს თავისი სასიკვდილო განაჩენი. ეს განაჩენი მოცემულია ჩვენი დიდი ბელადის სიტყვაში. საბჭოთა ხალხმა მთელი თავისი შესაძლებლობა, მთელი თავისი ძალღონე უნდა დაძაბოს, რომ რაც შეიძლება მალე სისრულეში მოიყვანოს ეს სასიკვდილო განაჩენი ფაშიზმზე, ბოლო მოუღოს იმ უხეშ ძალას, რომელიც თანამედროვე კაცობრიობას განადგურებას უქადის. ჩვენი სამშობლო, მისი ურყევი ძალა დიდი ბელადის ხელმძღვანელობით ბრწყინვალედ შეასრულებს ამ თავის ისტორიულ მოწოდებას.

თავისი ველურობით, თავისი ბარბაროსული დაუნდობლობით, — სთქვა **კონსტ. გამსახურდიამ,** — გერმანელმა ფაშისტებმა დაჩრდილეს შუასაუკუნეების ინკვიზიტორები, ფაშიზმს ყველა ერისათვის მოაქვს ცეცხლი და განადგურება. მან წარმოუდგენელი მონობის უღელში შაება ევროპის ყველა განათლებული ერი, ხოლო ელზასიასა და პოზნანის მოსახლეობა სრულიად აღკვეთა პირისაგან მიწისა. ასეთსავე დაუნდობელ განადგურებას უქადის იგი ჩვენს მიწა-წყალს, ჩვენს კულტურას. არც ერთს ჩვენგანს დღეს უფლება არა აქვს ჰქონდეს სხვა რაიმე ფიქრი, გარდა სამშობლოსათვის სიცოცხლის შეწირვის ფიქრისა. მივდიოთ ბოლომდე ბელადის მოწოდებას, უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დავიცვათ ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი კულტურა, რომელსაც დაძაბული შრომით ვქმნიდით ათეული წლების მანძილზე.

ჩვენი გონება ერთი წუთითაც ვერ შეურიგდება იმას, — განაცხადა **ს. ჩიქოვანმა,**—რომ ფაშიზმის ჩექმამ განთელოს ის დიდი მონაპოვარი, რომელსაც საბჭოთა ხალხების კულტურა, საბჭოთა ხალხების სტალინური მეგობრობა ეწოდება.

ჩვენი საყვარელი სამშობლოს ყველა რესპუბლიკებისათვის არა თუ ცნობილი, არამედ უაღრესად მახლობელი და მშობლიური გახდა საბჭოთა ხალხების როგორც წინანდელი, ისე **ლენინ-სტალინის** ეპოქაში შექმნილი კულტურა. საბჭოთა მოძმე ხალხები სულიერად შეესისხლხორცნენ ერთმანეთს. ჩვენ გვახარებს და გვაღფრთოვანებს ყველა ჩვენი მოძმე ხალხის ყოველი მიღწევა ისევე, როგორც საკუთარი მიღწევა. ამ განუყრელ ძმობას, ამ სტალინურ მეგობრობას და მისი მეოხებით მოპოებულს ჩვენ ახალს კულტურას დავიცავთ მთელი ჩვენი თავგანწირულებით, და ამ თავგამეტებულ ბრძოლაში ყოველი ჩვიხგანის შთამგონებელი იქნება დიდი ბელადის სიტყვა.

დიდი **სტალინის** მიერ წარმოთქმული სიტყვა,—სთქვა **ვ. წულუკიძემ,**—არის უაღრესად დაზუსტებული პროგრამა ყველა საბჭოთა პატრიოტისთვის თანამედროვე ვითარებაში. ჩვენი ბელადი მოგვიწოდება, არ მივეცეთ უდარდელობას, სულმოკლეობას, სიმხდალეს და პანიკიორობას. საბჭოთა მწერალმა არა მარტო თავის თავში, არამედ ყველა საბჭოთა მოქალაქეში უნდა აღზარდოს თავგანწირული პატრიოტობა და უშიშარი ბოლშევიკის მაღალი მორალური თვისებები — გაუტეხელი სულიერი სიმტკიცე, მოუდრეკელი შრომისა და ბრძოლის უნარი. ამ თვისებებით აღჭურვილ საბჭოთა ხალხს ვერავითარი ძალა ვერ დაამარცხებს, რადგან მის თავგანწირულ ბრძოლას მეთაურობს უძლიერესი გონებისა და უმტკიცესი ნებისყოფის გენიოსი ადამიანი.

დიდი ბელადის მოწოდებამ, — განაცხადა **ვ. გორგაძემ,**—საბჭოთა მწერლის მეხსიერებაში არ შეიძლება არ აღადგინოს რუსი, ქართველი და ჩვენი ქვეყნის სხვა ხალხების დიდი პატრიოტი მწერლების სახელოვანი ტრადიციები, ტრადიციები მწერლებისა, რომლებიც არა მარტო კალმით აღვივებდნენ სამშობლოსთვის თავგანწირვის გრძნობას, არამედ იარაღითაც გვერდში უდგნენ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლს თავიანთ ხალხს. მივყვეთ მათ კვალს და ბელადის მოწოდებით შთაგონებულნი გავიდეთ დედა სამშობლოს დასაცავათ.

დიდ რუს ხალხთან, — სთქვა **დემნა შენგელაიამ,** — ქართველ ხალხს ისევე, როგორც სხვა მრძმე ხალხებს, აკავშირებს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საერთო თავგანწირული ბრძოლის ტრადიციები. დღევანდელ სამამულო ომში ქართველი ხალხი თავისი თავგანწირული ბრძოლითა და გმირობით განამტკიცებს ხალხთა სტალინურ მეგობრობას, შეიტანს რა თავის წვლილს კაცობრიობის დამუძინებელი მტრის — პირსისხლიან ფაშიზმის განადგურებაში.

დიდი ბელადის სიტყვა,—განაცხადა **ალ. აბაშელმა,** — უაღრესი სიზუსტით არკვევს და განსაზღვრავს ყველა საბჭოთა მოქალაქის ამოცანას. ყველა ჩვენგანს მიჩნეული აქვს თავისი ადგილი, ყველა ჩვენგანს ერთი მიზნით, ერთი მისწრაფებით მსჭვალავს, ყველამ ვიცით ვაკეთოთ ის, რაც ხელს უწყობს ჩვენი არმიის ძლევამოსილებას, საბჭოთა ხალხის გამარჯვებას შუხანათ მტერზე. ბელადის სიტყვამ უნდა გარდაქმნას მწერლის კალამიც, რომელსაც დღეს სხვა დანიშნულება არ უნდა ჰქონდეს, გარდა ერთი დანიშნულებისა—მამულისათვის თავდადების ცეცხლით ალაგზნოს ყოველი საბჭოთა მოქალაქე. ალ. აბაშელმა ბოლოს წაიკითხა თავისი ახალი ლექსი, რომელიც თავგანწირული ბრძოლისა და შრომისაკენ მოუწოდებს მწერლობას.

აღმაფრთოვანებელი პატრიოტული სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე მოხუცი მწერალი **ს. ქვარიანი, დ. შერმანი** და **ალ. ჭეიშვილი.**

ალ. ჭეიშვილმა აღნიშნა ის დიდი პატრიოტული ერთსულოვნება და თავგანწირვისათვის მზადყოფნა, რომლითაც ბელადის მოწოდებამ აღჭურვა მთელი საბჭოთა ინტელიგენცია.

მწერალთა კრების მიერ მიღებული რეზოლუცია თავდება შემდეგი სიტყვებით: „საქართველოს საბჭოთა მწერლები ბელადის მითითებას გახდიან თავის უშრომდეს სახელმძღვანელო პროგრამად. საბჭოთა მწერლები იბრძოლებენ იმისთვის, რომ თავიანთ წრეში და მთელს ხალხში უკუგდებულ იქნას უდარდელობა, უზრუნველობა, წუწუნი, სილაჩრე, პანიკიორობა. საბჭოთა მწერლები გარდაქმნიან თავიანთ მუშაობას საომარ ყაიდაზე, ყველაფერს დაუმორჩილებენ ფრონტის ინტერესებს და მტრის განადგურების ორგანიზაციის ამოცანებს. საბჭოთა მწერლები იბრძოლებენ წითელი არმიის ზურგის გასამაგრებლად, ჩვენი ხალხის ბრძოლის უნარიანობის გასამტკიცებლად.

გაუმარჯოს ჩვენს გმირულ წითელ არმიას, ჩვენს სახელოვან წითელ ფლოტს!

გაუმარჯოს ჩვენს დიდ ბელადს, ჩვენს საყვარელ მამას, მასწავლებელსა და მეგობარს ჩვენი ქვეყნის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს **სტალინს.**

მთელი მსოფლიოს მოწინავე მწერლები გერმანიის ფაშისტი ბარბაროსების წინააღმდეგ

გერმანიის პირსისხლიანი ფაშიზმის ვერაგულმა, მუხანათურმა მოქმედებამ — საბჭოთა კავშირზე თავდასხმამ, ჩვენი დიადი სამშობლოს ხალხებთან ერთად უდიდესი აღშფოთება და პროტესტი გამოიწვია მთელი კაცობრიობის მოწინავე ნაწილში. მრავალ ქვეყანაში — ევროპის, ამერიკის, აზიის მატერიკებზე — მუშები, გლეხები, ინტელიგენცია ზიზღს უცხადებს პირსისხლიან ფაშიზმს და მოითხოვს მის საბოლოო და დაუზოგველ განადგურებას. მსოფლიო კულტურის მოწინავე მუშაკები მოუწოდებენ მაშებს და სახელმწიფოებს, ყოველნაირად დაეხმარონ პროგრესისა და კულტურის კერას — საბჭოთა კავშირს და მის ხალხს, რომელიც გმირულად ებრძვის ფაშისტურ ბარბაროსებს და ყაჩაღებს.

მსოფლიო კულტურის მოწინავე მუშაკები — მწერლები მთელ ხალხთან ერთად დიდი სიმკაცრით იღაშქრებენ მეოცე საუკუნის კაციჭამიების წინააღმდეგ. ამერიკის შეერთებულ შტატებში მყოფმა ცნობილმა გერმანელმა მწერალმა **ლიონ ფეიხტვანგერმა** განაცხადა: „ჩვენ ღრმფოთებულნი ვართ საბჭოთა ხალხზე ფაშისტების თავდასხმით. ჩვენ ვიცით, რომ ამ თავდასხმაში უგუნურობა უფრო მეტია, ვიდრე ვერაგობა. უგუნურმა ფაშისტებმა ახლა საბრძოლოდ გამოიწვიეს ისეთი მოწინააღმდეგენი, რომელნიც მათ სჭარბობენ თავიანთი რაოდენობით, ძლიერნი არიან რწმენით, ერთიანობით. ახლა ფაშისტებს ბოლო მოეღებათ... ჩვენ ვიცნობთ საბჭოთა ხალხს და დარწმუნებული ვართ, რომ ძლიერი, ბრძენი ბელადის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხი საბოლოოდ ალაგმავს ნაცისტებს“.

ფაშისტ ბარბაროსების მიერ გერმანიიდან გაძევებულმა ცნობილმა მწერალმა **ჰენრიხ მანმა** საკვლისის კორესპონდენტს განუცხადა: „საბჭოთა კავშირზე გერმანიის თავდასხმასთან დაკავშირებით, ეჭვი არავის ეპარება იმაში, თუ ვინ არის საერთო მტერი და ვისთან არის საჭირო ბრძოლა. დარღვეულია თავდაუსხმელობის კიდევ ერთი პაქტი, ამჯერად იმისათვის, რომ გერმანიას ძალიან სჭირდება ხორბალი და ნავთი. ჰიტლერი უსირცხვილოდ მოუწოდებს ევროპას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ „ჯვაროსნული ლაშქრობისაკენ“ იმიტომ, რომ მან უკვე გაძარცვა სხვა ქვეყნები კონტინენტზე... „შემდეგ ჰენრიხ მანი განაგრძობს: საბჭოთა ხალხმა კარგად იცის, თუ რა უნდა დაიცვას. „ჰიტლერს კი დასაცავი არაფერი აქვს, იგი მხოლოდ თავისი უბადრუკი ბატონობისა და საკუთარი პერსონისათვის იბრძვის. იგი დამარცხდება“.

ამერიკელი მწერალი **თეოდორ დრაიზერი** სწერს: „ამერიკის... დემოკრატიისათვის არაფერს არა ქვს იმაზე დიდი მნიშვნელობა, ვიდრე რუსეთის წარმატებას ჰიტლერის წინააღმდეგ ბრძოლაში. რუსების საქმე ყოველთვის და ყველგან დემოკრატიის ნაძდვილი საქმეა, ვინაიდან რუსეთმა უბრალო ადამიანისათვის უკვე გაიკეთა იმაზე მეტი, ვიდრე რომელიმე სხვა ქვეყანამ ისტორიაში“.

ინგლისელმა მწერალმა **ჰერბერტ უელსმა** გაზეთ „სანდი დისპეჩში“ მოათავსა სტატია, რომელშიაც ნათქვამია: „რუსეთზე თავდასხმა წარმოადგენს ჰიტლერის ახალ, შეიძლება ითქვას, სასოწარკვეთილებით ნაკარნახევ უკანასკნელ ნაბიჯს. ეს თავდასხმა ჩვენთვის, ყველასათვის, გარდა რუსეთისა, მოულოდნელი იყო. საბჭოთა კავშირი ანგარიშს უწევდა ამ შესაძლებლობას... ჰიტლერმა პირველად დაიწყო ბრძოლა სერიოზულ მოწინააღმდეგესთან“. შემდეგ ჰერბერტ უელსი აღნიშნავს, რომ „ინგლისელმა ხალხმა რამდენადმე უფრო გვიან იწყო იმის გაგება, თუ რას წარმოადგენს რუსეთი. ისეთ ხალხთან, როგორიც რუსი ხალხია, შესაძლებელია არამარტო კავშირი, არამედ მეგობრობაც.

ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრებმა ფრანგმა მწერალმა **ჟიულ რომენმა** განაცხადა: „მე ვფიქრობ, რომ თავისუფალ ადამიანთა და დემოკრატიულ ერთა პოზიცია იმ ვითარებაში, რომელიც შეიქმნა რუსეთზე ჰიტლერის თავდასხმის შედეგად, საკმაოდ ნათელია. ამ ადამიანთა ვალია მთელი ძალღონით, უყოყმანოდ დაუჭირონ მხარი რუს ხალხს. შეხედულებას, რომელიც ჩვენ შეიძლება გვქონდეს კომუნიზმზე და რომელიც ჩვენ უფლება გვაქვს შევინარჩუნოთ, ამჟამად არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. ამჟამად საქმე ეხება იმას, რომ ყველამ ერთად გავილაშქროთ კაცობრიობის მტრის წინააღმდეგ და დავამარცხოთ იგი... რუსი ხალხის ბრძოლას ყველა ხალხი მადლობის გრძნობით უნდა შეხვდეს. დღეს რუსმა ხალხმა თავის მხრივ უნდა ასწონდასწონოს ის დიდი და სასახელო პასუხისმგებლობა, რომელიც მას ეკისრება, როდესაც იგი მთელი ძალღონით იბრძვის და შეუნებული აქვს, რომ დამარცხება შეუძლებელია, როდესაც ფიცსა სდებს ყოველგვარ პირობაში განაგრძოს ბრძოლა, იგი მოქმედებს თავისათვის, ევროპისათვის, მთელი მსოფლიოსათვის“.

მთელს მსოფლიოში მძლავრად გაისმის დიად საბჭოთა ხალხისადმი თანაგრძნობისა და სიყვარულის ხმა. პირსისხლიან ფაშიზმთან ბრძოლაში საბჭოთა ქვეყანა, მისი სამართლიანი საქმე უსათუოდ გაიმარჯვებს, — ასეთია რწმენა იმ ადამიანებისა, რომლებიც იცავენ ცივილიზაციასა და კულტურას.

დ. ვასაძე



მწერლები საჰაერო და ქიმიური თავდაცვის საშუალებებს ეუღლებიან

გერმანიის სისხლიანი ფაშიზმის ვერაგულ თავდასხმასთან დაკავშირებით უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საჰაერო და ქიმიური თავდაცვისათვის სამოქალაქო მოსახლეობის მომზადებას და აგრეთვე ჯგუფების მოწყობას. საკავშირო მთავრობამ გაითვალისწინა ეს მომენტი და შემოიღო მზადება საჰაერო და ქიმიური თავდაცვისათვის. მზადება სავალდებულოა ყველა მოქალაქისათვის 16 წლის ასაკიდან 60 წლამდე.

ამ დადგენილებას აქტიურად გამოეხმაურნენ მწერალთა კავშირის მუშა-მოსამსახურენი და მწერლები. შესდგა ორი ჯგუფი, რომელშიაც 90 კაცი არის გაერთიანებული. მეცადინეობა უკვე დაიწყო. მეცადინეობის პირველმა დღეებმა გვიჩვენეს ის დიდი პასუხისმგებლობა და აქტიობა, რომლითაც აღჭურვილნი არიან მხატვრული სიტყვის ოსტატები და მწერალთა კავშირისა და მის სისტემაში შემავალი ორგანიზაციების თანამშრომლები.

მიუხედავად ერთსულოვნებისა, დარაზმულობისა, რათა საფუძვლიანად და ღრმად შევითვისოთ საჰაერო და ქიმიური თავდაცვის ღონისძიებანი, მაინც ადგილი აქვს ერთგვარ უდისციპლინობას. ზოგი მწერალი და მოსამსახურე ან სრულებით არ ესწრება მეცადინეობაზე. უნდა ყველამ შევიგნოთ, რომ თანამედროვე ომის დროს ფრონტი და ზურგი ერთია და ქვეყნის თავდაცვისაკენ მიმართული ყოველგვარი ღონისძიება, როგორც კოლექტიური, ისე ინდივიდუალური, შესრულებულ იქნას დაუყოვნებლივ, დაუბრკოლებლივ.

საჰაერო და ქიმიური თავდაცვის ჯგუფების ხელმძღვანელებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ იმას, თუ რამდენად ითვისებს ჯგუფის ყოველი წევრი ახლად მასალას და რამდენად ეუფლება იგი პრაქტიკულად თავდაცვის საშუალებებს. ამიტომ მსმენელის მიერ მასალის შეთვისების შემოწმება ყოველდღიურად უნდა ხდებოდეს.

მიზნად უნდა დავისახოთ, რათა არ დარჩეს არც ერთი მწერალი, არც ერთი მოსამსახურე, რომელიც თავისუფლად და კარგად არ ფლობდეს საჰაერო და ქიმიური თავდაცვის წესებს. ამ საქმეში დიდი მაორგანიზებელი მნიშვნელობა აქვს მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობის, თავდაცვითს ნექციისა და თავდაცვა-ავიაქიმის უჯრედის კარგ მუშაობას.

ს. ჯ.

სიკვდილი ვერაგ ფაშისტებს

ვერა შუბლაძე

ისევ დაიწყეს ომი, მუქარა,
ამპეტყველეს ტყვიები ცხელი,
ჩვენს მტკიცე საზღვარს სტყორცნეს ყუმბარა
და სისხლიანი შეახეს ხელი.

აღექით ფეხზე, მტერი არ გვინდობს,
გასწით უშიშრად მთებიდან ბარად
და ყველამ ერთად, როგორც არასდროს,
მათ შეეკვეთეთ გასაოცარად.

ჩასცით მახვილი მტერს გაბედულად,
რომ ვეღარ შესძლოს სხივის დანახვა,
რომ ვერ გაჰბედოს კვლავ თავხედურად
ჩვენი უძლეველ ქვეყნის შელახვა.

გასწით უშიშრად წინ, მეომრებო:
მიწას აწვიმეთ ტყვიები ცხელი,
ყოფა წარმტაცი და საოცნებო
რომ არ წაბილწონ ჯალათის ხელით.

ირგვლივ ფრონტია, სანგრები იწვის,
ბრძოლა გასძახეთ მთებს და მთაგორებს,
სამშობლოსათვის, სტალინისათვის,
აღარ დაშუროთ თქვენი ძალ-ღონე.

თქვენ კარგად იცით ეს სამსახური,
იცით, თუ რისთვის გიმღერდნენ ნანას, —
უნდა დაგეცვათ ეს გაზაფხული
და ბედნიერი ჩვენი ქვეყანა.

ცეცხლში ნაწრთობო, ჩვენო არმიავ,
მტერს შეეკვეთე ფრონტზე გმირულად,
სამშობლოსათვის, სტალინისათვის
ვიბრძოლოდ ერთად თავგანწირულად.

პაპაჩემის დამშვიდობება

ვლადიმერ სულაბერიძე

დაგიფარავენ ფრთები არწივთა,
მტერს უშიშარად დაჰკარ ურიცხვსა.
შენ მამაშენის ბედი აგცილდა,
ცხრაასთოთხმეტში დაკარგულისა.

ბეჩავ მამაშენს თავისი წილი
აქ მცირე მიწაც არავინ მისცა,
და სადღაც ქარში გადახვეწილი
ედავებოდა მეფეებს მიწას.

მე მესაფლავე ვიყავი მაშინ,
სიკვდილის კარებს ვაღებდი თვითონ,
საფლავს რომ ვთხრიდი, მეგონა თითქოს
სამარე იყო ჩემთვე ვაჟის.

ის დაიკარგა... ასე დაეცა
სიკვდილის გზაზე ბევრი მასთანა...
ჩვენ ოქტომბერმა მზე მოგვიტანა, —
მზეს და სინათლეს აღარ დავეძებთ.

ნანას გიმღერდი, ცხრაადლმხარიან
ზღაპრის გმირებთან დაგატარებდი.
დავაჟკაცდი და შემოგხარიან
ჭაღაროსანნი და პატარები.

სამშობლო გიხმობს, ლომის ძალღონით
ლომივით ქვეყნის კართან დგებოდე...
ჩვენ ხომ არავართ უმიწაწყლონი, —
მამაშენივით ვიკარგებოდეთ.

მიდიხარ, გიხმობს მშობელი მიწა,
მე სიხარულით გემშვიდობები,
თავისუფლების სამშობლოს იცავ,
გაგინათებენ გზებს მნათობები.

დაგიფარავენ არწივთა ფრთები,
მტერს უშიშარად დაჰკარ გულს რისხვა.
მეც საუკუნის სიცოცხლით ვდგები
დარაჯად მთების აქაურისა.

თბილისის თეატრების წარმოდგენები წითელი არმიის მებრძოლთათვის

თბილისის თეატრების კოლექტივებმა ერთსულოვნად უარი განაცხადეს მიმდინარე წელს შვებულების აღებაზე და სურვილი გამოსთქვეს ემსახურონ წითელი არმიის მებრძოლებს.

ლენინის ორდენოსანი ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი ივლისის განმავლობაში მებრძოლთათვის გამართავს 12 წარმოდგენას და მაყურებელს აჩვენებს შემდეგ ოპერებს: „ქეთო და კოტე“, „აიდას“, „დაისს“, „კარმენს“, „სევილიელ დალაქს“, ბალეტ-დივერტისმენტს და სხვა. ოპერამ 8 ივლისს მებრძოლებს უკვე აჩვენა კომპოზიტორ ვ. დოლიძის ოპერა „ქეთო და კოტე“.

გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამატიული თეატრი წითელი არმიის მებრძოლებისათვის მიმდინარე თვეში დასდგამს 5 წარმოდგენას—„კრემლის კურანტებს“, „პავლე გრეკოვს“ და სხვას; **ლენინის** ორდენოსანი რუსთაველის სახელობის დრამატიული თეატრი—„ბოგდან ხმელნიცკის“ და სხვას. საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია 11 ივლისს წითელ არმიის ბაღში მოაწყობს სიმფონიურ კონცერტს სოლისტების მონაწილეობით.

გარდა ამისა, თეატრები სისტემატურად გამართავენ საღამოებს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის წითელ არმიის სახლში. პირველ ასეთ საღამოს 27 ივლისს მართავს გრიბოედოვის სახელობის თეატრი. თეატრი უჩვენებს ნაწყვეტებს პიესებიდან „სუეროვი“ და „თოფიანი კაცი“.

მხატვრების დევნა ფაშისტურ გერმანიაში

ფაშისტურ გერმანიაში კანონს გარეშე გამოაცხადეს უდიდეს გერმანელ მხატვართა ნაწარმოებები. აკრძალეს მხატვრების ლიბერმანისა და კორინტის ნახატების გამოფენა. მრავალმა მხატვარმა შევიწროებისა, მუდმივი დევნისა და აუტანელი პირობების შედეგად თავი მოიკლა.

აკრძალულია პირველ მსოფლიო ომში დაღუპული მხატვრების ფრანც მარკისა და ავგუსტ მაკეს სურათები. აკრძალულია ავრეთვე ცნობილი გერმანელი მხატვრის გეორგ გროსის სურათების გამოფენა.

გერმანიის პროპაგანდის სამინისტროს ბრძანების საფუძველზე ჩატარებული წმენდის შედეგად, მუზეუმებისა და სურათების გალერეებიდან ამოღებულ იქნა 12.000-დე ნახატი და გრავიურა და 5 ათასამდე სურათი და ქანდაკება. ეს უამრავი განძი აღრე გერმანული მუზეუმების სიამაყესა და სილამაზეს წარმოადგენდა.

გარდა ამისა, გერმანელმა ფაშისტებმა საზღვარგარეთ გაჰყიდეს გერმანულ მუზეუმებში თავმოყრილი ხელოვნების ნიმუშები.

ცხრაას მარკად გაჰყიდეს რემბრანდის ერთ-ერთი საუკეთესო სურათი—„იუნონა“.

მიუნხენის მუზეუმიდან გაიყიდა ეგრეთწოდებული „მე-15 საუკუნის გერმანული პლასტიკა“, იგი საშუალო საუკუნეების შვაბელ ოსტატთა ნამუშევრებს შეიცავდა. ეს ნამუშევრები მხოლოდ ამ მუზეუმში იყო თავმოყრილი და ირიცხებოდა გერმანული ხელოვნების ოქროს ფონდში. ზოგიერთ მუზეუმებში თავმოყრილი ფრანგ იმპრესიონისტების სურათებიც.

სარედაქციო კოლეგია:
ი. აბაშიძე, შ. დადიანი, ს. ეული, გ. ლეონიძე, გ. ნატროშვილი, შ. რადიანი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვ. წულუკიძე.

რედაქციის მისამართი: მაჩაბლის ქუჩა № 13, (მწერალთა სასახლე) ტელეფონი 3—47—10.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 33860